საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 791-03
26/04/2024

2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე ,,მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" ჩარიცხვის მსურველი აბიტურიენტებისთვის, ან იმ პირთათვის, რომელთაც სურთ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძონ საბაკალავრო პროგრამაზე ,,მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" შემოქმედებითი ტურის რეგისტრაციის ვადებისა და პირობების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის" მე-8 მუხლის, რექტორის 2024 წლის 18 აპრილის N757-03 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" შემოქმედებითი ტურის დებულების" საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 25 აპრილის N7549-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე ,,მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" ჩარიცხვის მსურველი აბიტურიენტებისთვის, ან იმ პირთათვის, რომელთაც სურთ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძონ საბაკალავრო პროგრამაზე ,,მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)", შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებით ტურზე ელექტრონული რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 29 აპრილიდან 2024 წლის 15 მაისის ჩათვლით. შემოქმედებით ტურზე რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება შემდეგ ბმულზე: https://forms.gle/7SHU2AeRPp1H8shm8
2. ელექტრონული რეგისტრაციისას განაცხადთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
3. იმ შემთხვევაში თუ აბიტურიენტი შშმ ან/და სსსმ პირია და საჭიროებს სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს, აღნიშნული უნდა მიუთითოს განცხადებაში და წარმოადგინოს შესაბამისი დამადასატურებელი დოკუმენტი (სათანადო ცნობა).
4. შემოქმედებითი ტური ჩატარდება ამ ბრძანების დანართში მოცემული პირობების შესაბამისად.
5. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, უზრუნველყოს შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის ჩატარების თარიღებისა და ადგილმდებარეობის შესახებ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ინფორმაციის განათავსება არაუგვიანეს 2024 წლის 17 მაისისა მხოლოდ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდისა და შესაბამისი ინფორმაციის მითითებით;

6. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებით ტურის ჩაატარება 2024 წლის 17-დან 24 მაისამდე.

7. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, შემოქმედებითი ტურის პირველადი შედეგები განთავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე ერთი თვის ვადით, არაუგვიანეს 2024 წლის 27 მაისისა მხოლოდ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდისა და მიღებული შედეგის მითითებით;

8. შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის შედეგებთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადების მიღება იწარმოებს 2024 წლის 28 მაისიდან 4 ივნისის 18:00 საათამდე შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: tour.music@iliauni.edu.ge

9. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, უზრუნველყოს შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის სააპელაციო გამოცდის ჩატარების თარიღისა და ადგილმდებარეობის შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება არაუგვიანეს 2024 წლის 6 ივნისისა მხოლოდ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით;

10. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, საბოლოო შედეგები უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განათავსოს ერთი თვის ვადით არაუგვიანეს 2024 წლის 17 ივნისისა მხოლოდ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდისა და შესაბამისი შედეგის მითითებით;

11. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე ,,მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის ქულებს არ ენიჭება კოეფიციენტები და ისინი არ იქნება გათვალისწინებული რანჟირებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულებთან ერთად;

12. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს დაევალოს, 2024 წლის 10 მაისამდე გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საბაკალავრო პროგრამის ,,მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის შემფასებელი და სააპელაციო კომისიების შექმნის შესახებ;

13. დაუშვებელია სააპელაციო კომისია შედგებოდეს იმ პირებისგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული შემფასებელ კომისიაში.

14. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს, არაუგვიანეს 2024 წლის 25 ივნისისა მიღებული შედეგები გაუგზავნოს რექტორს შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურის დებულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

15. დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს, მოამზადოს წერილის პროექტი სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში კონკურსის შედეგების გაგზავნის მიზნით, არაუგვიანეს 2024 წლის 28 ივნისისა.

16. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის.

17. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა თვალსაჩინო ადგილზე ბრძანების გამოკვრის გზით;

18. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი